№ 96
კვირა, 8 მაისი 1894

1877—1894

ივერია

№ 96
კვირა, 8 მაისი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ГАЗЕТИ ДИРА:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 11 მაისს.

მწუხარებით ვაუწყებთ ნაცნობთა და პატივის მცემელთ ახალგაზდა ნიკეერის მწერალის **ეგნატე თომას ძის ინგოროყვას (ნინოშვილის)** გარდაცვლებასა და ვსთხოვთ მობრძანდნენ კვირას, 8 მაისს, დილის 9 საათზე, ჯუმათის რკინის გზის სადგურის მახლობელ სოფ. ჩანჩეთში განსვენებულის გვამს, სოფლის ეკლესიაში მისასვენებლად. (2—2)

კნ. ნინო მერაბის ასული თავდგირიძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 15 მაისს, მისის მეუღლის **თამაზის ნესტორ ალექსანდრეს ძის თავდგირიძის** გარდაცვლების წლის თავზედ იქმნება გარდახდილი წირვა და პანაშვიდი მაცხოვრის ეკლესიაში, სოფელს აკეთს.

2—1204—1

ლატარია-ალეგრი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ სასარგებლოდ
დანიშნულია 8 მაისს.

თუ ამინდი არ ეკარგება, ლატარია-ალეგრი 15 მაისისათვის გადადება.

ვისაც ჭსურს შემოსწეროს ნივთები ამ ლატარიისათვის, შეუძლიან ეს ნივთები გაუგზავნოს **კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისას.**

(ნიკოლოზის ქუჩა, საგრნოვის სახლი 21).

მოსკოვის ფერთიერთთ შაირის ჭირნახულის სეტყვისაგან

დამზღვეველ საზოგადოებიო

წარმომადგენელისაგან

კავკასიაში ვენახებს პატრონების სურვილისა თანახმად, რომელთაც მოინდომეს თავიანთ ვენახების დაზღვევა, **მოსკოვის დამზღვეველ საზოგადოებამ** გადასწყვიტა შეუდგეს დაზღვევას სიუკეთესო მოსავალისას, (ვენახისა, სვიისა, თამბაქოს და ბამბის პლანტაციებისა და სხვ). და თავისი გაწყოფილებაც დააარსოს ტფილისში, თუ დასაზღვევი ფული აიწევს 500,000 მანეთამდე და თუ ამ ფულიდგან დაზღვევის დასაწყებად შემოტანილ იქმნება ხსენებული ჯამის 3%, საწევრო გადასახადისა (მე-40 §-ი წესდებისა).

რადგანაც ძოახლოვებულია ჭირნახულის გამანადგურებელ სეტყვის დრო, ამიტომ მოვიწვევ 3-ნ ბალ-ვენახების პატრონთ, რომელთაც თავიანთ ბამულების დაზღვევის სურვილი უკვე აღიარეს და ჯერ არ შემოუტანიათ განცხადება, რომ დაიჩქარონ შემოტანა საწევრო ფულისა, რომლის გადახდის შესამსუბუქებლად ვადა არის დანიშნული და შეუძლიანთ 4—8 წლამდე ნაწილ-ნაწილად გადახდა, შემოსატან ფულის რაოდენობისდა გვარად.

საწევრო ფულს ვიღებ თვით მე, ვაძლევ წესდებასა და ბლანკებს და აგრეთვე ყოველსავე საჭირო განმარტება-ახსნას საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოების კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10—12 საათამდე, კვირა-უქმეებს გარდა, აგრედვე „სეგერონ ნომრებში“ 2—4 საათამდე.

აქვე შეიძლება დაზღვევაც ნათესობისა. საწევრო ფულს იღებენ აგრეთვე ამ საზოგადოების აგენტები.

დამზღვეველ საზოგადოების წარმომადგენელი, ინსპექტორი
ბ. მ. ოკულიჩი
(10—1177—3)

წერილები და კორესპონდენციები უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

დამეკარგა ფვილი

შაქრო სოლომონის ძე კახელიშვილი, 17 წლ.

ოოველი ძებნა ამაო შეიქმნა. ვეეედრება ეუფალს, თუ ითოეულ სადმე შაქრო კახელიშვილი, წარმოადგინონ პოლიციის მეტსრე განყოფილებაში.

ღედა დაკარგულისა მაგდანა პეტრიაშვილის ასული.

ტფილისი, 8 მაისს

დღევანდელ გაზეთის უცხოეთის განყოფილებაში მოკვანილია ავსტრიის ქვეშევრდომ რუინთა მიერ იმპერატორ ფრანც იოსებთან მირთმეული თხოვნა.

რუმინები, რომელნიც სახლობენ ავსტრიაში, ეროვნულ ენაზედ ლაპარაკობენ და ასეთ მხოლოდ ისტორიაში-და არის კვალი იმათის ოდესმე ძლიერებისა და ცხოვრებისა. ასეთი იყვენ სამეფონი: ასურეთისა, ბაბილონისა, სპარსეთისა, რომისა და სხვანი...

ისტორიის გახსენება ხანდახან ერლის ნინოშვილის სულის მოსახსენებლად პანაშვიდი; განსვენებულის საფლავზე ვეზიანთ გვირგვინს.

*** ჩვენ მოგვივიდა ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობის მიერ ცალკე წიგნად დაბეჭდილი „მოსე მწერალი“, მოთხრობა ე. ნინოშვილისა. ფასი წიგნისა ერთი აბაზი.

მივიღეთ აგრეთვე ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან გამოცემული: წიგნაკი „ჰაერი და სითბო“, ნ. ბ. ეიკოტოვსკისა, ნათარგმნი გ. შარაშიძის მიერ. ეს წიგნაკი შეიცავს 38 გვერდს და ჰღირს 15 კაპ.

*** 29-ს აპრილს ღამით ახალ-სენაკში გასტეხეს თაგართქილაძის სტამბა და გაიტანეს ფული.

*** ახალციხე: 10 აპრილს ჭქონდა საზოგადო კრება ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებას. კრებას ძალიან ცოტა ხალხი დაესწრო. კრებას ჭქონდა განსახილველად ანგარიშები გასული და აწ-მყო წლისა და უნდა აერჩია: საზოგადოების თავმჯდომარე და „გამგე კომიტეტის“ შესავსებლად ორი წევრი კანდიდატებითურთ. ხარჯის დამტკიცებისა სხვა და-სხვა საგნის განხილვის შემგედ მოხდა არჩევანი. აირჩიეს საზოგადოების თავმჯდომარედ მიხეილ პავლეს ძე მეფისაშვილი და კომიტეტის წევრად ა. ი. მუსხელიშვილი და პ. კ. პეტროვი; მათ კანდიდატად—ა. ბ. მაი'ურაძე და ვ. შ. ახვლედიანი.

*** იქიდამვე: ხარებობიდამ დაწყებული ყოველ უქმე-დღეს წმ. მარინეს ეკკლესიაში გალობს ახალგაზდების მგალობელთა გუნდი გ. ზაალიშვილის კონტაბრობით კარბელაშვილის კილოზედ. დიდი მადლობის ღირსია მამა ესტ. მირიანაშვილი (წმ. მარინეს ეკკლესიის მღვდელი), რომელმაც გაწრთვნა მგალობელთა გუნდი. მით უფრო სასიამოვნოა ეს ამბავი, რომ ამისთანა მიყრუებულ ქვეყანაში, როგორიც არის ახალციხის მხარე, გალობა ზოგიერთების მხნეობით ფეხს იდგამს. გუნდი კარგად გალობს და კიდევ უკეთესად იგალობებს, თუ უფრო მხნედ მოჰკიდებენ საქმეს ხელს.

*** იქიდამვე: აღდგომა დღეს, საღამო ხანს ბაზარში ჩხუბი მოუვიდათ ნასვამ სომხებს რუს ყარაულ სალდათებთან და ერთი სალდათთაგანი დასჭრეს. სომხები შეიპყრეს.

*** სოფ. ახალქალაქი (ქართლი): თითქმის ორი თვე იქნება, რაც აქ წითელა გაჩნდა, პირველ ხანებში ძალიან მშვიდობიანად ხდილობდნენ ბავშვები, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს სულ მუსრი გაავლო დიდს თუ პატარას. ამ ერთის კვირის წინად მაზრის ექიმი მოვიდა, მაგრამ რა უნდა უშველოს რამდენისამე სა-

შემოწირულებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მომავალ ლატარიისათვის კიდევ შემოსწირეს:

მარიამ მელიქიშვილის ასულმა—ეკვსი ნაქარგი სალფეთქი.

თამარა გაბაშვილის ასულმა—ორი ნაქარგი ლამპის დასადგმელი.

ელენე თარხნიშვილის ასულმა—ორი ნაკერი სუფრა.

ლიუბა ეგაძის ასულმა—ნაკერი პირ-სახოცი.

ნინო თარხნიშვილის ასულმა—სასუხრე.

სოფიო ბეგინანიძისამ—ცხვირ-სახოცების ჩასაწყობი.

მარიამ ფირალოვისამ—ეკრანი ატლასზედ ფერადით ნახატი.

მთა-წმინდის სამრევლო სკოლამ—ბალიში.

ბორჯომიდამ ნინო ალიბეგოვისამ—ორი ატლასზე ნაკერი რამაკ და ერთი საგორგლე.

ვაწაძემ—სამი ვაზა.

ალექსანდრე როინაშვილმა—ორმოცი სუფრათი სხვა-და-სხვა ქვეყნისა.

ნიკოლოზ თამამშვილმა—გარმონია.

ქ-ნმა მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურიანს-ორბელიანისამ—ორი ფრაკეს სასუხრე.

ქ-ნმა ღვინიაშვილის მეუღლემ—პატარა ქალის კაბა და ნაკერი ბალიში.

ქ-ნმა ელენე დიმიტრის ასულმა ბაქრაძისამ—ეკრანი და სხვა საკუთარის ხელით ნაკერი ნივთი.

ბ-ნმა თეთრაძემ—ორი ოქროს ყმაწვილის საყურე, ორი ვერცხლის სუფთარი, ოთხი ლითონის ბროლოკი და თორმეტი ლითონის ძეწკვი.

ეწიაფნა ეფემია ფარსადანის ასულმა ტუსიევისამ ოთხი ნაჭერი.

ქ-ნმა ანნა გიორგის ასულმა აკერმანისამ—თორმეტი ნივთი.

ეკატერინე ასათიანისაგან—ოქრო მკედი ნაკერი ბალიში, კუკის სკოლის მოწაფე ელენე ირემაშვილის ასულისაგან შეკერილი.

ახალი ამბავი

*** განჯის სადგურზე მოსამსახურე ქართველები გვწერენ: „გთხოვთ გამოაცხადოთ ჩვენი ღრმა მწუხარება პატივცემულის ბელეტრისტის ნინოშვილის გარდაცვლების გამო.

8 მაისს პანაშვიდს ვიხდით განსვენებულის სულის მოსახსენებლად.

მოსამსახურენი განჯის სადგურზე.
ყაზბეგი“

*** სურამიდგან შემდეგი სამძიმრის დეპეშა მოგვივიდა: „ჩვენის საყვარელის ნინოშვილის გარდაცვლებამ დიდად შეაწუხა სურამის ქართველი საზოგადოება. სრული ეს საზოგადოება შეიკრიბა და პანაშვიდი გადაიხადა.“

*** სამტრედია. დღეს 4 მაისს გადავიხადეთ ჩვენის ნიკეერის მ. ე-

ГАЗЕТИ ДИРА:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ათით მოსულმა ექიმმა ასე გამძვინვარებულს მოარულს. დღე ისე არ გავა, რომ 4—6 არ დაასაფლავონ.

თითქმის სულ ყოველ დღე წვიმს და სეტყვავს აქაურობას, თუმც ჯერ შესამჩნევი ზარალი არავის მოსვლია.

*** ვაქირი (კახეთი): ჩვენს სოფელს, ცოტა არ იყოს, წარმატება დაეტყო. ჯერ იყო და მინდვრების იჯარით გაცემით, სოფელს ფული გაუჩნდა, რომელიც უძღვება ათას გვარ წვრილ ხარჯს სოფლისას: სამეველოს, საყარაულოს, ტყის ხარჯს და სხვა მოულოდნელ გარდასახადს. მერე კიდევ სოფლის ტალახიანი და ოღრო-ჩოღრო ქუჩები გაიწმინდა და ქვა-ქვაშით იქმნა მოფენილი. ამას გარდა ყარაულები მუდამ გვიყენია სოფელში და ამიტომ ქურდობა დღ ავ-კაცობა, ცოტად თუ ბევრად, შემცირდა. ახლა სოფელს იმედი აქვს ეკლესიაც გამშვენიეროს და გალავანი შემოავლოს. ყოველ კვირაუქმე დღეს ხალხი ცდილობს წირვა-ლოცვაზედ სიარული და უზიარებელი არა რჩება თითქ:ის არც ერთს დიდ-მარხვაში. ყოველ ამ საქმეში მცირე ღვაწლი არ მიუძღვის ჩვენს მამასახლისს ალექსი ნანაბოშვილს, რომელსაც ბეჯითობისა და მეცადინეობისათვის მაზრის უფროსის შუამავლობით მოუვიდა ჯილდოდ ოქროს მედალი.

დამაგვირდი

უმწიკლის ოთახიდგან განიგებ და წარმმართებ ქვეყნიერებს.

ა. ტოლუკი

**

გასწმანდ უნა შენი ავის ბანდახისგან და უკეთესი სურნელოვანნი თოფეკე ადმოსცენდებან.

პიერმონტი

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲛᲐᲡᲚᲐᲐᲗᲘ

„საშოკოდ, სალაღობოდ, ამხანაგთა სართველად“.

რუსთაველი.

ახლა ტფილისში მარტოდ-მარტო მომავალ სამანკო კრების გამო ლაპარაკობენ. ფეხს ისე ვერ გადასდგამთ, ნაცნობს ისე ვერ შეხვდებით, რომ ჩვენის ბანკისა არა გკითხონ-რა. მეტადრე მანდილოსნები არიან დიდს ფაცა-ფუცში. ასე გასინჯეთ, „ზლიაპოსნებმა“ და „გაკრეპილებმაც“-კი ყველაფერზედ ხელი აიღეს და იმას ფიქრობენ—რომელი პარტია გაიმარჯვებს და რომელი დამარცხდებაო. ორისა და სამის წამის განმავლობაში, სულ ცოტა, ათსა და ოცს სხვადა-სხვა მოსაზრებას და დასკვნას მოისმენთ. ბევრნი ნაძლეესაც სდებენ... ლაპარაკსა და კამათობას ისეთი სიცხარე და სიბრაზე ამჩნევია, რომ გეგონებათ—სამშობლოს ბედი ბეწვზედ ჰკიდია და ამა თუ იმ პარტიის დამარცხებაზედ არის დამოკიდებული საქართველოს მერმისიო.

იქნება სთქვათ, რომ პროვინცია არხეინად არის და გულ-დამშვიდებით მოელის სამანკო კრებასაო. თქვენც არ მომიკვდეთ!.. თავის დედა-ქალაქზედ უფრო მეტად პროვინცია ქიშპობს და ჰღელავს, აბჯარს ისხამს და სალაშქროდ ემზადება. ამას წინად ქუთაისში მამიხდა წასვლა. აქედგან და იქიდგან ვაგონში მარტო სამანკო კრებაზედ გაისმოდა ბაასი. ერთი მთვრალი კენწოსაი ძილშიც-კი იმას ბოდავდა—შავში თუ თეთრში ჩაუგდოო... ამ ჟამად ზოგნი ისე არიან გატაცებულნი სამანკო დავი-დარებით, რომ ლანგ-თემური საფოინაიდგან რო ადგეს და თავს დაესხას, იქნება ვერც არავინ-კი შენიშნოს იმის შემოსევა. ყველა საქვეყნო საგანი მივიწყებულია, ყველა საქმე მიტოვებულია. მთელი ჭკუა და ენერგია ბანკის საქმეზედ მიდის და იხარჯება! კიდევ კარგი, რომ საზოგადოების უმრავლესობას ცნობიერად ესმოდეს ბანკის საქმე, ნათლად შეგნებული ჰქონდეს ჩვენის ბანკის აწინდელი მდგომარეობა. მაგრამ ასე არ გახლავთ.

აწინდელ ჩვენს მდგომარეობაში სათავად-აზნაურო ბანკის საქმეების გამგეობას და განხილვას ცალ-კერძო, ერთ-მხრივი მნიშვნელობა როდი აქვს. ბანკის საზოგადო კრება ჩვენთვის ისეთი სკოლაა, სადაც უნდა იწერთნენთოდეს ქართველობის გონება და გრძნობა, სადაც მაყურებელს თვალწინ უნდა ეხატებოდეს საქვეყნო ზრუნვა და მსმენელს უნდა ესმოდეს პატიოსანის გულის ძგერა საერთო კეთილ-დღეობისათვის. ამიტომ სამანკო პარტიის ბაირახტრისა და მედროშეთა მიგრამ გრწამდეს, ეგრა-სოდეს, სატრფოდ, შაკი ბედისწერა ამ ჩემსა გულს შენს სიყვარულს ვერ მოსტეხებს, ვერა, ვერა!

—

სცან—ის გულში, მისს კლიტულში ჩაკამწყვდე, შეკიბეკარი და მას მეკვლად, მეფრეულ-მსხენედ ბჯდეკვიდ წმიდ ჯვარი.

—

ოდეს მღიღი, მაკა ხსნილი, მოკა და ძკლებს გამიდოკავს; ჩემს მარჯვენას, ტკენს და ენის ეგემებს და კამოსწორწავს—

—

მაშინ ჯვარი სანუკვარი დაიკარავს მხოლოდ ჩემს გულს, მასთან ერთად, ჩემდა ღმერთად შიგ დამწყვდეულს შენს სიყვარულს!..

გრ. აბაშიძე

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲓᲐᲜ

4 მაისი. მხოლოდ დღეს შავიტყეთ დიდათ სამწუხარო ამბავი, რომ მოგვტაცა სიკვდილმა და სამუდამოდ გამოგვასალმა ეგნ. ნინოშვილს. ამ ამბავმა ძლიერ დაალონა განსვენებულის ნაცნობნი და პატივის-მცემელნი მისის ნიჭისა, და ბევრს იმის სიტყვებმა: „ვკვდები, ვკვდები იმ დროს, როცა ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარ“..., გული აუჩუყა და მწვავი ცრემლი გადმოაფრქვევინა. მით უფრო სამწუხაროა ასე უდროოთ სიკვდილი ამ ახალგაზდა ბელეტრისტისა, რომ ყველა მკითხველი შენიშნავდა, განსვენებულის ნაწერები თვალ-საჩინოდ გიუკეთესდა და საფუძვლიან ნიდაგზედ დამყარდა; მამგრამ შეუბრალებელმა სიკვდილმა არ დაიცალა იმ აზრების შესრულება, რომელიც შეადგენდენ განსვენებულისათვის მუდამ განუშორებელ მისხსწრაფებელ საგანს, შთანთქა სამარის წყვდიადმა სამუდამოდ. საწყალი! არც-კი დასცალდა თავის უკათავის მიუცილებლად საჭიროა საქმის ცოდნა, ჭკუის სინათლე და გულის სისპეტაკე. უამისოდ ყოველ გვარი სასარგებლო დაწესებულება ბოროტების წყაროდ გადაიქცევა. სამწუხაროდ, სამანკო პარტიის ზოგიერთნი მოთავენი სრულიად მოკლებულნი არიან იმ ღირსებას და თვისებას, რომელიც საზოგადო ასპარეზზედ მებრძოლეს შეშვენის და მოეთხოვება. ჯერ ერთი, საზოგადოების თვალის ახელას, გონებით სვლას და განსჯას კისრულობენ ისეთნი, რომელნიც თითონ უმეცარნი და ბრმანი არიან. ამ ვაჟბატონებს სამანკო ანბანის ცოდნაც არ მოეპოვებთ ჭ ისეთის მაღალის ხმით-კი გაჰყვირიან—ბანკი იღუპებაო, რომ გეგონებათ, თუ ესენი არა, საქართველოს დოვლათი ახლავე შთაინთქებაო. მეორედ კიდევ, არამკითხე მოთავენი და ბანკის ჭირისუფალნი ზნეობრივს სიფაქიზეს არას დაგიდევენ,—ყოველ გვარ საშუალებას ჰხმარობენ, ოღონდ-კი მოწინააღმდეგეს ლაჟა და ჩირქი მოსცხონ. გონებით და ზნეობით ღატაკსა და ნაილაჯს პარტიის ბაირახტარს ან მეტი რა მოეთხოვება!..

ჩვენს თავად-აზნაურობას არ აკლია სიმართლისა ჭ ეშშმარიტების ცნობა, გაგება. არც მისი ზნეობრივი გრძნობაა იქამდე დაჩლუნგებული, რომ იმის სულსა და გულში ჭორმა სამუდამო ბინა გაიკეთოს. საბედნიეროდ, თავად-აზნაურობას საკმაოდ მოეპოვებინა საქმის მცოდნე განვითარებული და პატიოსანი კაცნი. აი ამათ უნდა იტვირთონ საზოგადოების ზნეობრივი დარაჯობა, სიტყვითი და საქმით უნდა განაბნიონ სიბნელე, გაელენა და ძალა მოუსპონ მეჭორეებს. ესეთივე მოვალეობა აწევს ყოველ ინტელიგენტს, რომელსაც-კი გული უძგერს სიმართლისა და სამშობლოს ბედნიერებისათვის. ერთის სიტყვით, ყველა გაგებულმა და შეგნებულმა ქართველმა ხმა უნდა ამოიღოს და შეებრძოლოს იმ ვაჟბატონებს, რომელთაც ბანკის სახელით გამოსულან და განძრახ საზოგადოებაში შურსა და ღვარძლს სთესენ და ერის ზნეობას ძირს უთხრიან... დიდად საჭიროა, რომ ამ ახალს ჭირსა და ბოროტს ახლავე ფრთები შეეკვეცოს, თორემ მერე გვიან-ღაიქნება,—შემდეგ უფრო მეტი ძალა და ბევრი ჯაფა დასჭირდება ამ საქმეს. სხვა რომ არა იყვეს რა, მარტო თავ-მოყვარეობამ უნდა გამოგვაფხიზლოს. მტერი და მოყვარე პირში შემოგვტკეპრია, თითოეულს ჩვენს საზოგადო საქმეს გაფიცებით თვალ-ყურს ადევნებს. ბანკსაც რომ ვერ გაუძლეთ და ჭორების წყალობით ბოლო მოუღოთ, მერე იცით რანაირად გაგვტყდება სახელი და აბრუ?! ჩვენის თვით-მოქმედების და თვითმართველობის მოედანი ამ ჟამად, სხვათაშორის, სამანკო და სათავად-აზნაურო კრებაა. თუ ამ მოედანზედ ქვენა გრძნობამ და უკეთურმა მადამ გაიმარჯვა, მაშინ შენი მტერი, რომ ჩვენი ბედი და იღბალი იქნება! ბანკსაც რომ ვერ გაუძლვეთ და ეს დაწესებულება ჩავფუშოთ, მაშინ რის იმედი უნდა გვქონდეს, თავი როგორ უნდა გამოვყოთ ქვეყანაზედ?!.

ჯერ მაინც უიმედობას ალაგი არა აქვს. ქართულ-კახეთის თავად-აზნაურობა, საფიქრებელია, უფრო დამჯდარს, დასაბუთებულს და საფუძვლიანს აზრს მიემხრობა და საქვეყნო საქმეში მოინდომებს ნამდვილი გარემოება გაიგოს და არა წარამარა ლაპარაკის გამო დაჯდადგოს თავის განაჩენი. ჩვენში კეთილ-გონიერებას, სიმართლეს, ეშშმარიტებას ყოველთვის გავლენა და გასაგალი ჰქონია და, იმედია, ექნება კიდეც. — ჩვენ სულგძელნი ვართ, მოთმინება გვაქვს, მოწინააღმდეგის ლაპარაკს ვისმენთ, ბევრჯელ პატივისცემით და მოწიწებითაც-კი. მართალია, ჩვენი რაინდები ხრიკს და ორნს ჰხმართენ, მაგრამ, იმედია, ფონს მაინც ვერ გავლენ... ისიც საკმაოა, რომ საზოგადო კრებამ გულ-დასმით მოისმინოს ორისავე პარტიის კარგიცა და ავიცა. საცა სმენაა, იქ გაგონებაც იქნება.

Plebs

ᲜᲐᲬᲔᲠᲘ

რადგანაც საფრანგეთის გარეშე სამეფოთ მინისტრმა ეულ ფავრმა მორეულად გაგზავნა ბასმარკისაკენ, რომ საფრანგეთმა ექვსი მილიარდი ფრანკი უნდა გადახადოს ომის ზარალი, ფავრმა სასოწარკვეთილებით შესძახა: „ამდენი წამი ხომ იესო ქრისტეს დაბადებიდანაც არ გასულაო. სწორედ ამიტომ მოვანდე ეგ ანგარიში, უმასუნეს გულ დამშეიდებით ბისმარკს, ისეთ კაცს, რომელიც ქორნინაკნს სთელის ქრისტეს დაბადებიდან. კი არა, დედამიწის გაჩენის დღიდამ (ებრაულს ბეეიხრედერს).

—

ერთი ხანს გარდასული ადამიანი შემოსულა ქუჩაზედ აკაკის

— გამარჯობა შენი, N! უთხრა აკაკიმ—სად ხარ კაცო, როგორ დიკარგე, რომ თვალთან კარ ადგანხარ?

— რა ქენა, ჩემო აკაკი! ამ დროში ადარც წასვლა ღირს სადმე და არც სიზოგადოებაში გარეკა. ამისათვის ეზაკარ ჩემს სამწერდო ოთახში და ამ საბერის ყამს ფიდოსოფათთა თავს ეიქცევ.

— ბარაქალა! ბარაქალა, რომ სიბერედის მიმართულება არ შესცვალე: სიუმაწვილეში თავ შესაქცევად სოფოკ მიგაჩნდა და სიბერეში—ფიდოსოფოს.

N...

ეგრძნობ—მოდის დღე, როდესაც მე განგაშორდები წუთი-სოფელს და დამწყარი, ტრემლად მანარი, ეესტუმრები სამარეს ბნელს!..

—

შენს ბრძანებას, ყინს და ნებას შეეასრულებ ამით მეცა; ამოდ დეკნილს შენგანვ, დასკვილს შემიფაკრებს, მჯერ, ზეკ...

—

ᲒᲐᲒᲕᲠᲘᲗ

—

მკითხველო, დღეს ლატარიაა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“. მეშტაიდის ბაღისაკენ გავისეირნოთ, ბედი ვსაღოთ და ვინ ი:ვის, იქნება ერთ ამაზად ძვირფასი ნივთი რამ მოვიგოთ, ძვირფასი ნივთი, რომელიც ისე მრავლად აქვს ამ საზოგადოებას სალატარიოდ შეწირული ქველ-მოქმედ და გულ-შემატკივარ ხალხთაგან. თუ მაინცა და მაინც ვერა მოვიგეთ-რა, არც იქნება დიდი ბედენა, რადგან მით უკეთესია, მით უფრო სამჯობინაროა...

როგორაო?.. როგორ-და, ამა გავყვეთ, მკითხველო, წვლილსა, შენმიერ წაგებულს, ვნახოთ სად მიგვიყვანს, და მაშინ შეეგვნებთ შენს კეკრძო ზარალს რაოდენი საზოგადო მოგება მოჰყოლია.

ადგერ გთენდა დღეკვანდელი დღე, სალატარიოდ მოკაზმულმა შაური გადიხადე და ცხენის რკინის გზით, რომელიც ისე დგოგავს დედამიწაზედ, როგორც ორივ ფრთა მოტეხილი ბატი, მიადექი ორ-სვეტიან ბაღს, სადაც წერა-კითხვის მზრუნველთა ლატარია აქვთ გამართული. ბალი ჰყვავის და გადაფურჩქნულია, მისის მშვენიერებით გულ-აძგერებული ზურნა-მუსიკა სასიამოვნო ჰანგით ჩაგფუზუნებს, თუ ჩაგეღიტრტულებს ყურში მაცდურსავით,—გაიმტე ერთი ადაზი, ბედი სცადე, მოიგებო! შენც გაიმტე, მაგრამ ნურას უკაცრავად, ხელში ცალიერი ქაღალდი შეგრჩა. სიხარბემ მაინც წაგძღია, კიდევ ადაზი ისევ ცალიერი, კიდევ ადაზუკა—ისევ ცარიელუკა, ასე ბევრ ბზის...

თუმცა ძნელია ათის ბილეთის ამღებმა არა მოიგოს-რა, რადგან ყოველ რვა ცალიერზედ ორი მომგებიანი ბილეთი ურევია, თუმცა ამ ანგარიშით ხუთს ბილეთშიაც ერთი მოგებიანი უნდა იყოს, მაგრამ იქნება ისეთის ბედისა ხარ, მკითხველო, რომ ო�c, ორმოcc აიღე, მაგრამ არ გასჭრა, დალახვრა ღმერთმა ეშმაკი, და ბრმა ბედმა შენთვის არ გამოახილა და გამოანთეთლა თვალები. გულს დაგწყდა. ბედს ეძღური, სინანულს ეძლეი, რა მრჯოდა, ქარისა ან შემოტანილი რად მინდოდა, ან გატანილი, ლატარიაში სულ რომ მოგება იყოს, მაშინ ხომ არც სასარგებლოდ დაინახავდნენ იმის გამართვასაო... გულ-დამარბენული ველარც ბუნების სიმშვენიერე გხიბლავს, ვერც ზურნა-მუსიკის ხმა ჩაგეცმის მწყობრ ჰარმონიად, თავი გაბრუებული გაქვს ტ ბალიდგან, იმედით აღფრთოვანებული და ტკბილის ღიმილით შესული, გულ-გატეხილი და მწარე ღიმილით გამოსულიხარ... როგორც იმედი იყო წუთიერი, ისე ეს მწარე ღიმილი წუთიერი, წავა ესეც შენს აბაზუკასავით, გაჰქრება. მაგრამ შენი აბაზუკა გაჰქრა-კი?..

ადგერ ზამთრის სუსხიანს დღეს, როდესაც მთელს სოფელ თოვლი გადაჰფარებია, ბოლით გამოვსებულს ქოხში ჰზის პაწია გლეხის ბიჭი კერასთან, ფეხის თითები გაცვეთილ ქალამნიდგან გამოუყვია და დაჰხეთქია, დაჰპობია... ხელები გათოშილი აქვს... მის გამზდარს სხეულს მხოლოდ მწვანე პერანგი და ათას ალაგას ჩახეული, ჩაგლეჯილი, ჩოხაკი არა, რაღაც შალის ნაჭერი-და ჰფარავს.... სიცივით ბაბაენს საბარალო ბალანა, ცალს ხელში პურის ყუა უჭირავს და ხარბად ჰკბეჩავს, მეორეში.... მეორეში რაღაც ფიგნაკა, მაყვალის ფერის თვალით ჩასცქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქერის და ლუკმით ავსებულის მისის პირიდგან ბუტბუტი გამოისმის: „წა-მო-ვ-ხარ-დე, მალ-ხა-ზო, ნუ-გე-შად დე-და-შენ სა-ო“... და სხ. ის არის ან-ბანი უსწავლია და ახლა სიტყვის მარცვლებს ძლივს აბამს ერთმანეთს.

გახარებულია ბაღანა, არც სიცივეს ჭგრძნობს, არც უნუგეშო ხვედრს, არც ცალიერ პურის სიმშრალეს, არც მომავალს, ტანჯვა-მრავალსა და ოფლ-დამთხეველს, არასა ჭგრძნობს, რადგან დღეს ოსტატმა, მასწავლებელმა მშვენიერი ნახატებიანი წიგნი აჩუქა და გლეხის შვილი ცას არის სიხარულით დაწეული... ბაღანა არა კითხულობს, მაგრამ ჩვენ ვიკითხოთ, მკითხველო:

— ვინ მისცა, მასწავლებელს ეს ნახატებიანი წიგნი?

— ვინა-და „წერა-კითხვის საზოგადოებამ“ გაუგზავნა ხალხში დასარიგებლად...

— მერე ამ საზოგადოებას ვიღამ მისცა?

— ამ საზოგადოებამ ლატარია გაჰმართა, ცოტაოდენი ფული აიღო, ეს ნახატებიანი წიგნები იყიდა და დაუგზავნა სოფლის მასწავლებლებს ხალხში გასავრცელებლად. აი ერთი იმ წიგნთაგანი ეხლა ამ გლეხის ბაღანას უჭირავს ხელში.....

ეხლა რას იტყვი მკითხველო, ვითომ განქრა, დაიკარგა შენი ამბაზუკა?!. ნუ თუ ეხლაც გატეხილი გული სიამოვნებით არ აგვესება და მწარე ღიმილის ნაცვლად, ისევ ტკბილი, ნუგეშის ღიმილი არ შეგითამაშებს სახეზედ?!..

ალფა

ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

Ძ. ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. ამ მოკლე ხანში ერთი უცნაური ამბავი მოხდა: ერთს მდიდარს თავადის ოჯახს ეწვია ნაცნობი მანდილოსანი, სტუმარი პატივისცემით მიიღეს; მასპინძელმა სტუმარს სადილად დარჩენის სურვილიც შეატყო და ამიტომ ბევრი პატიჟი აღარ დასჭირვებია. სტუმარი თავისუფლად ერთი ოთახიდგან მეორეში გადი-გამოდიოდა და როცა ყველა ჩამოათავა, შინ წასვლა აიჩქარა და არას გზით მასპინძლის თხოვნას, რომ დარჩენილიყო, პატივი აღარა სცა. რამდენიმე დღის შემდეგ ამ ოჯახის ახალგაზდა ქალი-შვილმა, რომელიც ცოტა უქეიფოდ იყო, თავისი ნივთები-ანი კოლოფი მოითხოვა, რომელიც საწოლი ოთახის სტოლზე ედგა. კოლოფი-კი მიართვეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სხვა ნივთებთა შორის ძვირფასი ძველებური მარგალიტები აღარ იყო. (მარგალიტები ძაფზე იყო აცმული სიგრძით ორ-კეცად ალაბ ნახევარი და ღირდა, სულ უკანასკნელი, 3000 მანეთი). ოჯახში მყოფლებმა ერთხმად ექვი ხსენებულ სტუმარზე შეიტანეს. მეორე დღესვე ეს საპატიო მოიხმეს ოჯახში და შინაურულად გაუმეღლავნეს თავისანთი ექვი და შესთხოვეს წაღებულის დაბრუნება. ეს შეწამება სტუმარმა ძლიერ იწყინა და ოჯახსაც სამუდამოდ გამოეთხოვა. შეწამებული მალე სოფლად დაბრუნდა და ერთის კვირის შემდეგ ერთი საიმედო ადამიანი ორსავე ოჯახთან დაახლოვებული, დამკლის უფალთან მოციქულად გაჰგზავნა და შეუთვალა: ნივთი მე მაქვს და დაგიბრუნებთ მხოლოდ მაშინ, თუ ამ კაცის ხელით საიდუმლოდ 250 მანეთს მომცემთ, ცხრა წლის ვადით სადუქნე ადგილს რკინის გზის ამა-და-ამ სადგურზე და საქალო ინგლისურს უნაგირსო. ამდენი სასყიდლის გადახდა, ცოტა არ იყოს დამკლის უფალთ სასიამოვნოდ არ დაუჯერეთ შეწამებულის ქმარი მოიხმეს და ყოველივე ეს საიდუმლო გარდა სცეს ქმარმა ამგვარი ცოლის მოქმედება არაფრად გიკვირვა, რადგანაც პირველი შემთხვევა არ ყოფილა და მიუგო: ყოველისფერი რაც უთხოვნია გაუგზავნეთ და გადაცემის დროს მოგლინდნეთ დავეცემი თავზე, მოპარული ნივთთან ერთად ყოველივეს თქვენგან გაგზავნილს წავართმევ და დაგიბრუნებთო. სადუქნის პირობა და უნაგრის ნასყიდობაც წინარიცხვებით დაწერილი გაუგზავნეს, რადგან შეწამებულმა ისე არ ინება. როცა შუა კაცმა შეწამებულს, ღამის ცხრა საათზე, 250 მანეთი დაუთვალა, სადუქნის პირობა, უნაგირის ნასყიდობა და უნაგირი გარდასცა, ქალმა მარგალიტები ბამბასა და ქალღლში გახვეული გადასცა მომტანს, და უთხრა: „ჩქარა უბეში ჩაიდე, ვიღაცა მოდის!“ კაცმა უცბად მარგალიტები უბეში იკრა. ქმარი-კი არ გამოჩნდა, და არა—დაიმალა. ამ დროს ქალმა კარი გაიღო და კაცი შემოვიდა. ჩემ დას გული შეუწუხდა და გთხოვთ წამიბრძანდეთ. ქალი ავთომყოფისკენ გაიქცა და შუა კაცი შინ დაბრუნდა. როდესაც კაცი შინ მოვიდა მხიარულად უბიდგან მარგალიტები ამოიღო და, რომ გახსნა, ნამდვილის მაგიერ თაღლითი აღმოჩენდა. კაცმა თავში ხელი შემოიკრა, მაგრამ გვიან იყო. ამ ნაირად დაიკარგა მარგალიტები და, ნაჯახისა და ტარის არ იყოს, თან გაჰყვა: 250 მანეთი უნაგირი და სადუქნე ადგილი ცხრა წლის ვადით. დამკლის უფალმა ამ გვარი საქციელი შეწამებულისა ვეღარ მოითმინა და აცნობა ქუთაისის პოლიციმეისტერს, რომელმაც ფიცხლად გაჩხრიკა დამნაშავის სახლი, რამოდენიმე გამამტყუნებელი საგნები აღმოაჩინა და მასთან გამოიკვლია, სად და ვისის თანდასწრებით უყიდნია დამნაშავეს ტფილისშიო მარგალიტების სამაგიერო თაღლითი.

ჩ.

ᲮᲔᲕᲘ *) (საქართველოს - სამხედრო გზა): ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო, რომ იტყვიან, სწორედ ასე დაგვემართა.

ჯერ ამ შვიდიოდე წლის წინად, როცა ეტაპი ამ გზით დადიოდა, ხალხი სულ ამას გიძახოდა: საქმე გაგვეჭრეს ეტაპის „კანვოებმაო“, მოგზაურობის დროს თვალდათვალ გვტაცებენ ყველაფერს, თუ რამე ადვილად ხელის გასაკრავი შეხვდაო ურემზედ. თუ ხმა გავეცით და გამოვეკიდენით, ვაი ჩვენი ბრალი, თოფის კონდახებით სულს ამოგვართმევენო. ეს მართლადაც სწორედ ასე იყო.

მაგრამ აგერ შვიდს წელზედ მეტია, რაც ეტაპი სხვა გზაზე მიბრუნდა, მოგვშორდა, ხოლო ქურდობა და მგზავრების ცარცვა-კი თანდათან მატულობს კავკასია და დარიალს შუა.

ამ ადგილებს შუა სახელმწიფო გზის გალმა-გამოღმა ბუდობენ ქურდი მაწანწალა ქისტები და ოსები, რომლებსაც ხელობად დღე-და-ღამ ამ გზაზე წანწალი აქვთ გამხდარი; დაძრწიან და დარაჯობენ, რომ თავისი საკბილო მგზავრი შეხვდეთ, ცხენი ან ხარი გაუშვან საძოვებლად, მიიძინონ ურემთან და მოსხლიტონ რამე. ეს კიდეც არაფერი, ამათგან ფრთხილობს მგზავრი და თავს იცავს, მაგრამ საქმეს უჭირებენ მგზავრს აბზებები, რომლებიც ამ გზაზედ „ეტაპებში“ მსახურობენ. ეტაპებია: დარიელას, ლარსს, ჩიმას (ჯარიახის ხევის პირდაპირ), ბალთას და ფუთხუზას (ბალთიდგან მე-5-ე ვერსტე). ამათი დანიშნულება ის არის, რომ ფოსტას აცილებდნენ, ღამე გზაზა და მგზავრებს იცავდნენ ავაზაკებისაგან, საეკვო მაწანწალა კაცებს, უბილეთოებს იპარდნენ და სხ. მაგრამ მარტო ამას როდი სჯერდებიან, ამითი როდი ათავებენ თავიანთ სამსახურსა.

ისინი კიდეც მგზავრს მეურემეს თუ ქვეითს, მამაკაცს თუ დედაკაცს, ყველას აჩერებენ და სთხოვენ ბილეთს, თუ მგზავრს რამე იარაღი აქვს თავის დასაცველად, ხანჯალი, დამბაჩა და სხ. თუნდა ბილეთშიც მოხსენებული ჰქონდეს, ართმევენ, ვითომ ოლქის უფროსთან წარსადგენად.

არა ერთი და ორი ამგვარად წართმეული იარაღი დაჰკარგვია პატრონს, არა ერთი და ორი ხანჯალი, ან დამბაჩა დაუბრუნებია პატრონს ყაზახებისგანვე გამოსყიდვით; ან-კი რა ჰქნას მგზავრმა, რომ არ გამოისყიდოს თავის იარაღი, როდესაც წინ უფრო კიდევ სხვა შიში ელის ქურდ მაწანწალა ქისტებისა; ცხენის წართმევაც რომ მოინდომოს ვინმემ, ხომ უნდა დამორჩილდეს და დანებდეს უიარაღო მგზავრი. ასეთი დღე ადგება მგზავრს ყველა ზემოთ ჩამოთვლილს პოსტებში, ვიდრე კავკავამდე.

მოვიყვან მაგალითს:

წარსულს ზაფხულს, ამხანაგებით მივემგზავრებოდი ურმებით კავკასს. ყველა პოსტებს მშვიდობით და უხიფათოდ გავსცდით. ფუთხუზამდე; კავკასს რომ დაუახლოვდით მე 5—6 ვერსზედ ღამემ გვისწრო და ურმებზედ თვლემა დაგვაწყებინა; საჭქაროდ თვლები ავახილეთ და ვნახეთ, რომ ჩვენი ცხენები ნახევრად გამოშვებულები ურმებს ძლივს-და მიათრევდნენ, გავსინჯეთ და ვნახეთ, რომ აღარც „ეოჟებნ“ ება და აღარც წელთასაკრავები. აქეთ იქით ვეცით საძებნელად და იქვე ჩვენს ახლო გზის თხრილში შავად რაღაც შევნიშნეთ და დაუძახეთ რუსულად: „ვინხარო, იქიდგან კაცმა რუსულადვე გვიპასუხა: მე ვარ“ რაზეზედის ყაზახი. მოგვიახლოვდა და მეორე უფრო მოშორებით მყოფს ყაზახზე მიგვითითა, ისიც ჩემი ამხანაგიაო და გაემართა იმისკენ; ჩვენ აზრში მოვედით და ყველა ჩვენი მორთულობა-კი იქ ვიპოვნეთ დახვეული. გვინდოდა ყაზახი დაგვეჭირა, მაგრამ თვალიც ვეღარ მოგკრიდა.

ამავე მგზავრობიდან შინისკენ მომავალს ბალთის პოსტთან მისწრო ღამემ, აქ დარაჯმა ჩვეულებრივ ბილეთი მომთხოვა; ბილეთი მივეკი, შეიტანა სადგურში (უფროსთან), ჩქარავე გამოვიდა და თან ერთი სხვა ამხანაგი გამოჰყვა; რამდენჯერმე შემოუარეს ჩემს ურემს და თან ხელით შენჯავდნენ, თითქო შენახული რამ ჰქონდათ ჩემს ურემში.

დამიბრუნეს ბილეთი და გამომისტუმრეს; ოარიოდ ვერსი რომ გამოვიარე, მიველი ურემთან ხანჯლის ამოსაღებად, რომელიც ურემში მქონდა დამალული ყაზახების წართმევის შიშით და უნდა ახლა წელზედ შამომერტყა, მაგრამ ხანჯალი აღარ დამხვდა; მოვბრუნდი ისევ პოსტში, ვკითხე დარაჯს, მაგრამ არამც-თუ არ გამოტყდა ხანჯლის მოპარვაში, პირიქით კიდეც შემომიტია, როგორ თუ დარაჯს ქურდობას აბრალებო. მეც ხმა მოვიმაღლე და ჩვენი დავემუქრე. მაშინ-კი მითხრა, აბა ამხანაგს ვკითხავ იქნება იმან აიღოო. შევიდა სადგურში გამომიტანა ხანჯალი, მაგრამ გასამრჯელო ერთი აბაზი მაინც გადამახდევინა. რა მექნა, რომ არ მიმეცა, ოდესაც 15 მანეთიანი დავერცხლილი ხანჯალი მეკარგებოდა.

ჩემისავე დასწრებით მოხდა შემდეგი: ლარსის სადგურის ახლო მეურემე მგზავრებმა გამოუშვეს ცხენები საძოვებლად, აქ შახვდნენ ყაზახები, რომელნიც ფოსტას მოელოდნენ გასაცილებლად. ჰნახეს, რომ მეურემეებს სძინავთ, ურმებს მივარდნენ, ერთს ურემს ზაურბეგ ზ—ეისს ახსნეს და გაეაქნეს ხურჯინი, რომელშიაც იყო 50 მანეთის ფარჩა კავკავში ნავაჭრი.

ამას შემდეგ გზად ურმით მომავალს ი. დ-ს შიგ ლარსში ამავე პოსტის ყაზახებმა მოაცალეს ტანსაცმელი ნაბადი, მაგრამ ჩქარა გაუგო პატრონმა და როგორც-კი, ის-ის იყო, მივიდნენ თავიანთ პოსტის კარებთან პატრონი მიეწია და წაართვა.

თუმცა ამნაირად ყოველთვინ არ შერჩებათ ხოლმე ნადავლი, მაგრამ მაინც არ იშლიან. ერთს მგზავრს მედუქნეს ბალთის პოსტთან ჩვეულებრივ რეკოლვერი ჩამოართვეს. მედუქნე ჩვილით დამეუქრა და განაგრძო გზა კავკავისაკენ. რამდენიმე გზა რომ გაიარა, უკან მიეწია ერთი ყაზახი მისის წართმეულის რეკოლვერით და უთხრა, აი შენი რეკოლვერი-კი მოვაცემინე ისევ, მაგრამ ფული-კი ათი შაური უნდა მამცე გასამრჯელოვო. მგზავრმა, რასაკვირველია, ათი შაური მისცა, მაგრამ თავისი-კი არ დაიშალა და ეჩვილა ოლქის უფროსთან. ოლქის უფროსმა, რა თქმა უნდა, გამოძიება დაჭნიშნა და შეუდგათ ბალთის პოსტს ალიაქოთი. დაიწყეს ძებნა ის მოჩივრისა, იპოვნეს და დაუწყეს ხვეწნა, რომ შერიგებულიყო. რამდენჯერმე მოჩივრის სახლში მოვიდნენ სათხოვნელად ბალთის პოსტის უფროსი და იმისი ყაზახები. მოჩივარმა შეიბრალა და შინაურულად შეურიგდა.

ვრიგოლ დავითაშვილი

ᲛᲨᲝᲒᲔᲚᲗᲐ ᲓᲐ ᲐᲚᲔᲖᲐᲠᲓᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲓ.

(დასასრული *)

საერთოდ სხეულის მოვლა

1. წმინდა, სუფთა ჰაერი და მზის სინათლე აუცილებლად საჭიროა ჯანმრთელობის დაცვა-შენახვისათვის; ამიტომ იზრუნეთ, რომ ყველა ეს მოუკლებლათ იყოს თქვენს სადგომში.

2. ეცადე, რომ შენმა სხეულმა ჰაერის ცვლილება თუ სხვა რამ ბუნებრივი მოვლენის ცუდი ზედ-მოქმედება ადვილად აიტანოს; ყოველ დღე იბანავე, თუ არა და ზემო ნაწილი სხეულისა მაინც დაიბანე ცივის წყლით. სისუფთავისათვის ტანი, შეძლებისამებრ, თბილი წყლით დაიბანე.

3. როდესაც კარგი ტაროსია, მდინარე წყალში იბანავე ხოლმე; უფრო კი იმ დროს, როცა წყალი მზის სხივებისაგან გამთბარია. ბანაობის დროს წყალში ათს წამზე მეტს ხანს არ უნდა დარჩე; შემდეგ კი ტანი გაიმშრალე და გაისეირნე, რომ ცოტად მაინც შეჰხურდე. თუ შესაძლებელი დარჩეს, წყლიდამ ამოსვლის შემდეგ რამდენსამე ხანს შიშველი დარჩი, რომ მზის სხივებმა და ჰაერმა თავისუფლად იმოქმედოს შენს სხეულზე.

4. პირი და კისერი სუფთად იქონიე; ყოველ დილა-საღამოს, აგრეთვე ბამის შემდეგ პირი და ყელი კარგად გამოირეცხე.

5. რაც შეიძლებოდეს ხშირად იმოძრავე სუფთა ჰაერზე.

6. ძრიელ თბილად ნუ ჩაიცვამ. თავი მსუბუქად დაიფარე, კისერი მარად ღია გქონდეს.

7. არც ერთი ნაწილი სხეულისა არ უნდა გქონდეს მაგრად შემოკერილი (კორსეტით, სარტყლით, სახვევებით და სხვ.).

8. ფეხსაცმლის ძირი (ლანჩა) თავის მოყვანილობით უნდა შეეფერებოდეს შენს ფეხებს. მაღალ-ქუსლიანი ფეხსაცმელი მავნებელია; ბევრად უკეთესია დაბალი და ფართო ქუსლები.

9. დიდ ხანს არაოდეს არ დარჩე სველს წინდებში, ტანისამოსი-ფეხსაცმელში; საჭქაროდ გაიხადე ხოლმე სველი ყველაფერი და მშრალი ჩაიცვი.

10. იცოდე და გახსოვდეს უმეტნაკლებობა (ზომიერობა) ჭამა-სმაში. მოერიდე გაფუჭებულს (ძველს), ძნელად მოსანელებელს საჭმელს, აგრეთვე ტკბილეულებასაც; განსაკუთრებით არ უნდა აძლიოთ ტკბილეულობა ყმაწვილებს; შეეჩვიე უბრალო და მარგებელს საჭმელს; მიიღე იგი სამჯერ დღე და ღამეში, მეტ-ჯერ არა. ნუ იხმარ ხოლმე გრძნობითა (ვნებათა) ამშლელ-ნივთიერებას, მაგალითად—ბევრს მარიღს, თამბაქოს და სხვ.; არ სჭამო ხოლმე მოუხარშავი ხორცი და მკვახე ხილი.

11. ადრე დაიძინე და დილას ადრევე ადექ. დაწოლის წინაღ ძალას ნუ დაატან სხეულს ან გონებას მუშაობით, რათა ღამე მოსვენებისა და მშვიდობისა იყოს შენთვის“.

ივ. ხოტეველი.

რუსეთი

სასოფლო მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს შესაძლებლად დაუნახავს ამ გვარად მოაწყოს სამაზრო სოფლის მეურნეთა კრებანი: ამ კრებაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ მთელის მაზრის სოფლის მეურნენი, როგორც მებატონენი, ისე იჯარადარნი, რომელთაც წლიური საწევრო შესატანი უნდა გადიხადონ სამაზრო განსაკუთრებულ ფონდისათვის და ამ ფონდმა უნდა დაჰფაროს გამოფენათა გამართვისა, მოწყობისა და სხვა ხარჯი. ყოველს კრებას ექნება თავისი ბიურო, შემდგარი თავმჯდომარისა, მდივნისა, ხაზინადარისა და საბჭოს წევრთაგან. კრების თავმჯდომარეობა უნდა გასწიოს ადგილობრივმა წინამძღოლმა თავად-აზნაურობისამ. კრების მოწვევა, წელიწადში ორჯერ ზედ ორ ნაკლებ, შეუძლიან მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლს. კრებას ვალად აქვს ხელი შეუწყოს სასოფლო მეურნეობის განკარგებას. განზრახვა აქვთ ასეთი სამეურ-

---

*) იხ. „ივერია“, № 95.

ნეო კრებანი შემოიღონ 1885 წლიდან.

—

უმართებელესმა სენატმა ამას წინად განმარტა, რომ ცოლის შერთვის უფლებით ვერ ისარგებლებენ: სატუსაღო განყოფილებაში მყოფნი, ვიდრე ამ განყოფილებაში ყოფნის ვადას არ გაათავებენ; გაგზავნილნი, ვიდრე ტომუენში განაწილებულ არ იქმნებიან, რომელნი რომელს მხარეს უნდა გაიგზავნონ; საპოლიტიკო დამნაშავენი, გუბერნატორის ნება-დაურთველად; მე-6 ხარისხის მეკატორგენი, სამის წლის გავლამდე, და მე-3 ხარისხისანი, ერთის წლის გასვლამდე. დანარჩენნ უფლება-ჩამორთმეულთა კი შეუძლიანთ დაუბრკოლებლად შეირთონ ცოლი.

—

ამ ბოლოს დროს რუსეთის საზოგადოებამ ყურადღება მიაქცია ბავშვების დაცვასა და დაფარვის საქმესაც. უკვე არსებობს რამდენიმე ყმაწვილების მფარველი საზოგადოება. მაგალითებრ, აი რასა სწერენ „პეტერბურგის ღარიბ და ავადმყოფ ბავშვთა მზრუნველი საზოგადოების“ იმ განყოფ-ლების შესახებ, რომელსაც მინდობილი აქვს „დაცვა ყმაწვილების სასტიკად მოქცევისაგან“: ამ განყოფილებამ თავ-შესაფარი გაჰმართა, ივრდომებდა უპატრონო ყმაწვილებს, აძლევდა კერძო ოჯახებში მოსავლელად და სამართალში აძლევდა იმათ, რომელნიც სასტიკად ეპყრობოდნენ ყმაწვილებს, რა უფლებაც განყოფილებას წესდებითა აქვს მინიჭებული. ცამეტჯერ მას „სასტიკ და სწორაფ საშუალებისთვისაც“ კი მიუმართავს ამ წვილების დასაცველად, რადგან ყმაწვილების სასტიკად მოპყრობის ბოროტება დიდად იყო გავრცელებული და საბრალო ბავშვებს უდიერად ექცეოდნენ როგორც მშობლები, ისე ხელოსნები და სხვა იმათი პატრონებიკიო.

—

„გრაჟდანინი“ იწერება: განზრახვა აქვთ ამ მოკლე დროში შეადგინონ კომისია, რომელმაც უნდა განიხილოს წინადადებანი, შესახებ ქალთა სამკურნალო ინსტიტუტისა. ყველაზ მეტი საყურადღებოა ამ საგნის შესახებ პროექტი: სახალხო განათლების სამინისტროს ერთის ცნობილის და საპატიო წევრისა, პეტერბურგელ პროფესორთა კრებისა და სამხედრო-სამკურნალო აკადემიისა.

უცხოეთი

ᲐᲕᲡᲢᲠᲘ-ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ. კომიტეტის წევრებმა რუმინიის საეროვნო დასისამ, რომელნიც კლაუზენბერგში იყვნენ განსამართლებულნი, მიართვეს იმპერატორს შემდეგი თხოვნა: „ავსტრიის იმპერატორის ქვეშევრდომნი რუმინნი უერთგულესნი თქვენის ოჯახისა, რომელნიც მხნედ და მამაცად იცავდნენ სამეფო ტახტს და სამშობლოს გარეშე და შინაურთა მტერთაგან, მოიქცნენ საშუამდგომლოდ წინაშე თქვენის უდიდებულესობისა, რადგანაც მათ მეტი ღონე აღარა ჰქონდათ გარდაეტანათ ის დევნა და დაჩაგვრა, რომელსაც აზრად აქვს ამოფხრას ძირიანად ეროვნული სარწმუნოებრივი სახე რუმინთა ცხოვრებისა. ამ შუამდგომლობისთვის ჩვენი ერი შეიქმნა ახლა უფრო სასტიკად დაჩაგრული და დევნილი; მთელი ერი დამნაშავეთ სკამზედ არი დღეს დამჯდარი, რადგანაც მისი საუკეთესო წარმომადგენელი ვერ ასცდნენ ამ ვვარს ბედს. ამ ჩვენთვის სამწუხარო წამს, დევნილნი თქვენს წინაშე შუამდგომლობისა და შუამდგომლობის გამოცხადებისთვის, ჩვენ გატყობენებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ამ საოცარ შემთხვევას, რომელსაც არას დროს არა ჰქონია ადგილი ერთა ცხოვრებაში.“

—

პარისის ერთს ნაწილში, მონმარტრში, აოსებობს ერთი სადგომი, რომელსაც სახელად „სახალხო სახლი“ ეწოდება; აქ უკითხვენ მუშებს ლექციებს, უმართვენ წარმოდგენებს, კონცერტებს. ამ საქმის მეთაურებად ითვლებიან წარმომადგენელნი ფრანგთა სოციალიზმისა. ისისთვის, რომ ამ „სახალხო სახლის“ გავლენისათვის ხალხზე ხელი შეეშალათ და შეემცირებინათ,—ქრისტიანულ სოციალიზმის წარმომადგენელთა ამ ქმად მონმარტრში დააარსეს ამ გვარივე სადგომი, რომელსაც უწოდეს „ფრანგთა სახალხო სახლი“. პირველად მოფიქრება და აზრი ამ გვარის დაწესებულებისა ეკუთვნის აბბატ გარნიეს, რომელმაც შეიძინა ადგილი და ამ ადგილზე დიდი დარბაზი ააგო, რისთვისაც ზოგი თავისი ფული დახარჯა ზოგი—საზოგადოებაში მოაგროვა. ამ სადგომში ათასსზე მეტს კაცს შეუძლიან დაესწროს კონცერტებსა და კონფერენციებსა. იმ ღამეს, როდესაც დამთავრდა ამ შენობის სრულიად მოწყობა და უნდა გამოცხადებულიყო მისი დაარსება, იქ დაესწრენ ყველა თვალ-საჩინო წარმომადგენელნი საერო კავშირისა. აბბატ გარნიემ სიტყვა წარმოსთქვა, რომლითაც აუხსნა, დამსწრეთ, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან „ფრანგთა სახალხო სახლს“, რად ანაც ფულის შესანახავი კასსები იქნებიან ამ სადგომთან დაწესებულნი მით, რომ აქ თავშესაფარი ექმნებათ მუშათა შეიღებს, რომელნიც მუდამ ქარხნებში მუშაობენ; მასთანვე მით, რომ აქვე იქნებიან დაარსებულნი რამოდენიმე მოხელეთა დაწესებულება, რომლის შემწეობითაც მუშებს ადგილის მოპოება შეეძლოთ... Journal des Débats-ის სიტყვით „ეს კრება ხუთასთა ქრისტიან—სოციალისტთა, წარმოადგენდა საამო სანახავს უსამზღვროდ გამხიარულებულს. სულიერი მღელვარება აბბატ გარნიეს მსმენელთა იხატებოდა ხშირ და ხმა მაღალ ყვირილით და ტირილით.

გასართობი

—

ერთმა ექიმმა საჯარო ლექცია წაიკითხა იმის შესახებ, რომ ადამიანს უფილტვებოდაც შეუძლიან იცოცხლოს, თუ კარგი ოპერაცია გაუკეთესო. რომ გამოეშვარავებინათ აზვარი აზრის უმართლობა, მისცეს ნება გაეკეთებინა ეს თავის „კარგი“ ოპერაცია ერთის ავადმყოფისათვის, რომლის შესახებაც ყველა ექიმებმა იმედი გადაიწყვიტეს, რადგან მას ფილტვები ძლიერ დაზიანებული ჰქონდა. გაწამებულმა ავადმყოფმა უწყალო ექიმის დანის ქვეშ დალია სული...

— ეს რა ჰქენი? რად მოუსწრაფე საცოდავს სიკვდილი?—უსაყვედურებდნენ ოპერატორს; სად არის შენი ლექციის სიმართლე.

— ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება ჩემს ლექციას, ჩემს დასკვნას, რადგან განსვენებული უაპერაციოდ უფრო მალე მოკვდებოდაო.

**

ივანე! ამ სასაფლაოსთან რომ ამოდენა ტყეულად გაშენებული ადგილი გაქვს, რატომ არ დახნავ, დათესავ და არ დაფარცხავ? ამა სინჯე და ნახე, თუ ყველაფერი როგორ მალე, როგორ ცოცხლად ამოვიდეს.

— აი, კიდევაც მაგისათვის არა ვხნავ, სწორედ, რომ ე მაგის მეშინიან: იმ ამოსულებთან რომ განსვენებული ჩემი ცოლი ამოვიდეს—რაღა წყალში უნდა გადავრდეო, მიუგო ივანემ.

**

უნივერსიტეტში ეგზამენების დროს პროფესორმა უთხრა სამკურნალო განყოფილების სტუდენტს:

— დამისახელეთ ოფლის მომგვრელი საშუალება.

სტუდენტმა დაუსახელა ერთი.

— კიდევ!

დაუსახელა მეორე.

— კიდევ!

დაუსახელა მესამე.

— კი, მაგრამ ყველა მაკ საშუალებამ რომ ვერ გასჭრას?

— მაშინ აი, ამა-ღა-ამ საშუალებას მიგმართავ, მიუგო სტუდენტმა და დაუსახელა საშუალება.

— კი, მაგრამ მაგანაც რომ ვერ იმოქმედოს?

— მაშინ ამ უკანასკნელ ზომას მივიღებ. (დაუსახელა უკანასკნელი საშუალება).

— კი, მაგრამ მაგ ზომამაც რომ ნაყოფი ვერ მოიტანოს?

— მაშინ, ბატონო, მიუგო გაპირვების ოფლის წმენდით სტუდენტმა: იმ ავადმყოფს თქვენთან გამოვგზავნი ეგზამენის დასაჭერადო.

წერილები რედაქციის მიმართ

—

I

გთხოვთ ნება გვაბოძოთ თქვენის გაზეთის საშუალებით უბედნიერესი მადლობა გამოვუცხადოთ ქ ნ მარიამ ხახულის ასულს ანაშიანსს, რომელმც მაკვანეთის ერთ კლასიან (გურიაშია) და სიმსერის ორ-კლასიან სკოლების სასარგებლოდ შეაწირა 27 მან. და 57 კაპ. ფული. დიდს მადლობას გუცხადებთ ამ ერთვე შემოწირულობაც.

მაკვანეთის სკოლის დამაარსებელი თ. კიკვაძე.

მზრუნველი საჩერის ორ-კლასიანი სამმრავლო სასწავლებლისა დ. აბაშიძე.

1894 წ. ს. ბეთურა.

II

გთხოვთ, თქვენის გაზეთის საშუალებით, ნება მაბოძოთ, გამოვუცხადო მადლობა ბ-ნ ილია რაჭველს, რომელიც გზაენის ჩემდა რწმენებულ სასწავლებლის სახელობაზედ ყურნად „ჯეკიდს“.

ახად სენაკის დედათა სასწავლებლის მასწავლებელი მარიამ ბერძენიშვილი.

დ. ახალ-სენაკი

1894 5 მაისი

დეპეშა

6 მაისი

ᲑᲔᲠᲚᲘᲜᲘ. მაინცდამაინ აუწყეებენ „Vossiche Zeitung“-ის, რომ აქ დაიპორესო ორი ფრანგი, რომელნიც სომაგრეთა სურათებსა და გეგმებს იღებდნენ; დაპატიმრებულთ უარი გაბაცხადეს და თავისის ვინაობის გამცხადებენ არ ისურვეს.

მღვიმე-მაღაროების მუშებმა დღეს 76 ხმის უმეტესობით წინაამდეგ 10-სა გადასწყვიტეს, ვითხოვთ კანონით იყოს დადგენილი მუშაობის ვადად რვა საათიო.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. ანგლიკანის მთავარეპისკოპოსთა ტ ეპისკოპოსთა მანიფესტი წინაამდეგობას აცხადებს ვალისში ეკკლესიისა და სახელმწიფოს განაწილებისა და საეკკლესიო ქონების განკერძოების კანონ-პროექტის გამო.

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ. საკასაციო სასამართლომ გაიუქმა სასამართლოში დაწყებული საქმე მილანის წერით შეურაცხ-მყოფელთა წინაამდეგ, რადგან აღიარა, რომ ის ბრძანება, რომლითაც მილანს უფლებანი აქვს დაბრუნებული კონსტიტუციას ეწინაამდეგებაო. რადიკალებს სახლებს უჩხრეკავენ.

ᲕᲘᲔᲜᲐ. დღეს დეპუტატმა პირნესტორფერმა პარლამენტში წინადადება შეიტანა იმის შესახებ, რომ სამუშაოთ დღეში რვა საათის შრომა იქმნას დადგენილიო.

7 მაისი

ᲛᲐᲓᲠᲘᲓᲘ. უზენაესმა საბჭომ დაამტკიცა ბარცელონიის ანარხისტების შეს ხებ სამსჯავროს განაჩენი, რომელსაც ექვსი ანარხისტი უნდა ჩამოხრჩობილი იქნეს და ოთხი კატორგაში გაგზავნილი.

ᲛᲘᲣᲜᲮᲔᲜᲘ. ბავარიის ზედა პარლამენტმა დაადგინა, რომ ავადმყოფი მეფის ოსკარის ტახტი გადაეცეს პრინც რეგენტს.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘᲡ ᲑᲘᲠᲟᲐ, 3 ᲛᲐᲘᲡᲘ

	ᲛᲘᲜᲓᲝᲜᲝᲜᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.	ᲒᲐᲛᲧᲘᲓᲕᲔᲚᲘᲡ.
	ᲛᲐᲜ. Კ.	ᲛᲐᲜ. Კ.	ᲛᲐᲜ. Კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	7,44	7,47	— ,,
ტამოჟენის კუპონები	148½	149¼	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომეგბი ბილეთი	— ,,	— ,,	246½
—მეორისა	— ,,	— ,,	224½
4% მესამე სესხისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი	— ,,	— ,,	191½
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	102
5%	— ,,	— ,,	101
ქუთაისის ბანკის 6%	— ,,	— ,,	102
5%	— ,,	— ,,	101
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	101	— ,,	— ,,

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲕᲪᲠᲔᲚᲘ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲞᲠᲝᲖᲝᲠᲝᲕᲡᲙᲘ სდგას—ვერის ჩასავალს, ოსიპოვის მამულში.

აცრა და გასყიდვა ყვავილის ჩირქისა არის ყოველ დღე, დილის 8 საათიდან 10-მდე, და შუადღის შემდეგ 3 საათიდან 5 მდე.

გარეშე ადგილებიდანაც, შეიძლება ჩირქის დაბარება, რაიცა გაგზავნილი იქნება საჩქაროდ და სუფთად. (12—6)

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკაიაში, ვარანცოვის ქუჩის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილობითი:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სპირს სნეულებანი: სახიერურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩაქანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდგოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბროტასეკიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ს. მ. ტურბოვიჩი. 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სადამოობითი:

ს. გურგო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

ვ. ი. ფრანციუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერა-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

დაიბეჭდა და ისყიდება

ქ. ტფილისში

გამომცემელი

ბ-ნ ზაქ. გრიგორეროვის წიგნის მაღაზიაში.

„ᲥᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲗᲛᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡᲐ“.

შედგ. ს. ნატროშვილისმიერ.

ეს წიგნი მოწონებულ იქმნა, როგორც სახელმძღვანელო, უწმინდესის სინოდისაგან და აგრეთვე სამოსწავლო საერო მთავრობისაგან.

ფასი 35 კოპ.

ხოლო ვინც, ნაღდს ფულზედ, ათს ან მეტს ცალს იყიდის, წიგნი დაეთმობა 30 კაპეიკად. (5—5)

ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

შეიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა ქ ამხ. სტამბისა

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიგორეროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთავე სტამბაში.

ოზურგეთს, კ. თავიერთქილაძესთან.

სამტრედიაში. ბ. გელეიშვილთან.

ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

ᲒᲑᲘᲚᲘᲡ ᲔᲥᲘᲛᲘ

Ა. Ი. ᲠᲝᲒᲑᲔᲚᲘ

ოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

ᲙᲘᲠᲘᲚᲝᲕᲘᲗ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—192)

Доз. ценз. Тифлисъ, 7-го Мая 1894 г. ᲡᲢᲐᲛᲑᲐ Მ. ᲨᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲓᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲝᲑᲘᲡ რედაქტორ-გამომცემელი ᲘᲚᲘᲐ ᲩᲐᲭᲐᲕᲐᲫᲔ.